მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება № 229

2010 წლის 19 ოქტომბერი

ქ. მცხეთა

მცხეთა, ზაჰესის დასახლების ტერიტორიაზე, მოქალაქე რომან ახალაიას სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და მოქ. რომან ახალაიას 04.10.10წ. №ა-3421 განცხადების საფუძველზე, ჩაითვალოს შეთანხმებულად მცხეთა, ზაჰესის დასახლების ტერიტორიაზე, მოქალაქე რომან ახალაიას სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და სანებართვო მოწმობა გაიცეს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ.

საკადასტრო კოდი – 721201055

მიწის ნაკვეთის ფართი – 1500 მ^2

განაშენიანების ფართი – 620 მ^2

საერთო ფართი – 1722,43 მ^2

მათ შორის:

სასაწყობე ფართი – 913,82 მ^2

ადმინისტრაცია –195,04 მ^2

დამხმარე ფართი – 547,96 მ^2

საზაფხულო ფართი – 65,61 მ^2

სამშენებლო მოცულობა – 7835,56 მ^3

საკრებულოს თავმჯდომარე **ანდრო კალანდაძე**